ყვავი ჩხიკვის მამიდა

ქალაქის ტელეფონი აწკრიალდა.
დედა!-ალბათ შენ გირეკავენ სოფლიდან, გამოსძახა სამზარეულოში გასულ დედას ლიზიმ თავისი ოთახიდან.
ნანა მიჩვეული იყო იმას, რომ შვილები ქალაქის ტელეფონს არ ეკარებოდნენ, როცა აწკრიალდებოდა ჩაიბურტყუნებდნენ, ალბათ ვიღაც გარდაიცვალა ,,ყვავი ჩვხიკვის მამიდა ''ან სტუმრად მოდიან, აბა, უბრალოდ ჩვენს მოსაკითხად ვის სცალია.
ნანამ დამძიმებულმა დადო ყურმილი.
-რა იყო, ვინ დაიღუპა?-შეეკითხა ლიზი.
-ამჯერად ყვავი ჩხიკვის მამიდა არა, აკაკი ძია, ჩვენი კარის მეზობელი, ვისაც ჩვენი სახლ-კარი ებარა.
საწყენია, ჩაილაპარაკა ლიზიმ და უხერხულობის გამოსწორება სცადა, აუცილებლად უნდა წახვიდე.
მორჩა, აწი ჟანგიანი ბოქლომი იქნება ჩემი სახლის დარაჯი, ღამით კი ალვებში გაჩხერილი მთვარე.
მთელი თხუთმეტი წელი უვლიდა ნანას სახლ-კარს აკაკი ძია, დამარმარებული ჰქონდა არემარე, ყანაც ეთესა, ბოსტანიც, სხვანაირად სახლი ვერ ისუნთქებსო ამბობდა, ბოჩოლასაც ეზოში აბამდა, უცხო ადამიანი ვერ წარმოიდგენდა თუ ეს სახლ-კარი გამოკეტილი იყო. მარცხნივ მდინარე ჩამოუდიოდათ, წინა მეზობელიც დიდი ხნის წასული იყო ამქვეყნიდან.
რადგან შაბათ დილით წასასვლელი იყო გასვენებაში, საღამოს ადრე დაწვა დასაძინებლად, ვერ დაიძინა, ვერც ,,მელატონინმა'' უშველა, მთელმა ბავშვობის წლებმა კადრებად ჩამოიარა, დედის ნათქვამი გაახსენდა, შენი დაბადების დღეს ამუშავდა სოფლის ელექტროსადგური, გააჩირაღნა ჩვენი სოფელი და კიდევ ორი მეზობელი სოფელიც, ოღონდ მაშინ მარტო ,,ილიჩის'' ნათურები ირთვებოდა რიგრიგობით სახლებში. წლებთან ერთად გაიზარდა სოფელი, დატვირთვაც, ნახშირის უთო დენისამ შეცვალა და კიდევ ბევრი სიახლე გამოჩნდა.
წლებთან ერთად იკლო ,,ილიჩის'' ნათურების ციმციმმა, ბოლოს მარტო ,,ვოლფრამის ძაფი'' ბჟუტავდა საცოდავად წითლად და სოფელიც სასწრაფოდ ჩართეს საერთო სისტემაში.
სისტემის ავარიული გამორთვის დროს ეს ჩვენი ,,გოელროს'' პირმშო, ახლა მარტო ერთ უბანს უციმციმებდა მხოლოდ ეკონომიურ ნათურებს.
მერე ბავშვობამ წყლის წისქვილებში წაიყვანა, ოღონდ ახლა საფქვავი ბავშვობის წლები იყო...
სოფლის სამივე წისქვილიდან ახლა მარტო აუზები და ღარები იყო დარჩენილი, დოლაბები და სხვა რკინის ინვენტარები 90-იანმა წლებმა შეიწირა.
ახლა ამ ნაწისქვილარებში მცირე ჰესების ჩადგმა შეიძლება, საქმის ნახევარი თითქმის გაკეთებულია, აუზებს და ღარებს ცოტა ხელის შევლებაღა უნათ, სამ უბანს მაინც ექნება საკუთარი ელექტროენერგია თითქმის უფასოდ. მოეწონა ეს იდეა და გადაწყვიტა გასვენების მერე კიდევ ერთიორი დღე დარჩენილიყო სოფრლში და გამგებლისთვის გაეცნო თავისი იდეები და ემიგრაციაში მყოფი თანასოფლელებისთვის ერჩია, როცა დაბრუნებას გადაწყვეტდნენ მცირე ბიზნესის გეგმაში პატარა ჰესები შეეტანათ (ევროკავშირი თავისი ნებით დაბრუნების მსურველ არალეგალ ემიგრანტებს მცირე ბიზნესს უფინანსებს). ამ ფიქრებში დაათენდა კიდეც.

წინა ღამის უძინარს უცბად ჩაეძინა, კუნძშეკეთებული ბუხარი მთელი ღამე ჩუჩუნებდა და ათბობდა ცივ კედლებს.
კვირას სახლი დაალაგა, უფრო სწორედ მტვერი გადაწმინდა ავეჯიდან და კედელზე ჩამწკრივებული სურათებიდან, იმიერიდანაც რომ ათბობდნენ ისინი...
მერე ქვევით ჩავიდა, ბოსტანს გადახედა, მწვამედ ბიბინებდა მწკრივებში ძია აკაკის დათესილი მწვანილი, მერე ყანები დაათვალიერა, წვიმის მერე ქარს ნახევარზე მეტი სიმინდი წაექცია, ანდა გუშინდელივით ახსოვდა მის ბავშვობაში ლამის ორმეტრონახევრამდე იზრდებოდა, ზოგი სამ ტაროსაც იკეთებდა, მეზობელი ყანები ერთმანეთისგან ქარსაცავებით იმიჯნებოდა, ზოგს მარადმწვანე ხეები ერგო, ვისაც აბრეშუმის ჭია ყავდა თუთას რგავდა, თუთის არაყსაც ხდიდნენ წამალიაო, ახლა სამ ფენად ეკლიანი მავთულებით გამიჯნული სადემარკაციო ხაზსს უფრო წააგავდა.
საღამოს ძია აკაკის რძლებმა მიიპატიჟეს დასარჩენად, მოეხათრა და სოფლის თავში მცხოვრებ ბიძაშვილთან არჩია წასვლა, ერთად დაზრდილები არ ეთქმოდათ მაგრამ საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჰქონდათ.
დილით მშობლების საფლავზე გავიდნენ, გზად აუზები რომ დაინახა ბიძაშვილს ჰკითხა თუ რისი იყო.
ეს კალმახების საშენია, შარშან ერთი იყო წელს უკვე თხუთმეტია, საკმაოდ მომგებიანია ალბათ.
ნანა დიდხანს ათვალიერებდა საკალმახეებს.
-შენც ხომ არ აპირებ გახსნას?-გაეხუმრა ბიძაშვილი.
-არა, სხვა იდეა გამიჩნდა. ყველა აუზიდან გამომავალი წყალი ერთ დიდ აუზში იყრიდა თავს და საკმაოდ დიდი მოცულობა ჰქონდა და აქედან ერთი არხით ისევ დედამდინარეს უერთდებოდა.
-ამ არხზეც ერთ მცირე ჰესის ჩადგმა შეიძლება, საკალმახესაც ეყოფა ენერგია და ამ უბანსაც.
საღამოს თავისი იდეები ბიზნესგეგმად აქცია, არც გასჭირვებია, სპეციალობამ და გამოცდილებამ ხელი შეუწყო, თითქმის ტექნიკური პროექტი გამოუვიდა ნახაზებით და ხარჯთაღროცხვით.
გათენდა მზემ მთებს გვირგვინი დაადგა, სოფელმაც გაიღვიძა.
გამგებელიც შეჰპირდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ერთ მცირე ჰესს ააშენებდა, ხოლო ქარსაცავად ახლა თუთის ნაცვლად პავლონიას შეიძენდა ქარსაცავად, რომელიც საკმაოდ ძვირად ფასობს მსოფლიო ბაზარზე და გემთმშენებლობაში გამოიყენება თურმე მისი დიდი ტენიანობის გამო.
მიკროავტობუსი ქალაქს მიუახლოვდა, ბოლო გაჩერებაა!-მძღოლის ხმამ გამოაღვიძა სიზმრიდან, სადაც სოფელში დამკვიდრება მოასწრო.